

საქართველო

ქართული
საზოგადოებრივი

საერთო უკრაინული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 12 ნოემბერი 1998 №163 (698) ფასი 50 თეთრი

დინამო ტილზურებს ავტობუსით ჩავა დღეს კი თბილისელები ფრანკფურტს გაფრინდნენ

EL MUNDO



ფორტუნამ ბილბაოში ზურგი გვაქცია... იმედია, ტილზურები მაინც დაგვზოგავს, „ვილემ II“ ხომ „ატლენტიკ“ არ არის

გუშინ დღის ბაზაზე თბილისის „დინამო“ პოლანდიაში გამგზავრების წინ ბოლოვებდა ივარჯიშმა. მურთაზ ზურცილავამ ფეხბურთელები ჯერ ბურთზე ატეხა, მერე გუნდი შუაზე გაყო და მშვენიერი თამაში გაჩაღდა. გამგზავრების წინ „დინამოში“ კარგი განწყობაა, მაგრამ ჩვენებს გუნება რატი ალექსიძის ტრავმამ გაუფუჭა. იგი გუნდთან ერთად მაინც გაემგზავრა. იგი გუნდთან ერთად მაინც გაემგზავრა. იგი გუნდთან ერთად მაინც გაემგზავრა.

წრეში გასვლის საკითხი, მაგრამ დიდი ბრძოლა რომ გველის, ესეც ფაქტია. მიხეილ აშვეთია დაფიქრებული ჩანდა. არა მგონია, მას თავი დაეზღვიდა, პირდაპირ, ალაღად განაცხადა, სხვათადას არ გამოვიდო, მაგრამ მინიმალური ანგარიშით დამარცხებაზეც ყაბულს ვარ, მაინც პოლანდიის გუნდია და თანაც თავის მინდორზე თამაშობსო. მურთაზ ზურცილავას საფიქრალი ნამდვილად აქვს. მუჯირი და გუნუა დისკვალიფიცირებულნი არიან, გუნდი დატოვა კობაშვილმა, რომელიც „ფრაიბურგს“ დაუბრუნდა. ამას ალექსიძის ტრავმაც დაუმატებ და ნათელი გახდება, რომ „დინამო“ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. თუმცა ბატონმა მურთაზმა დაგვიამბა, გუნდში საბრძოლო განწყობილება სუფევს და წარმატებისთვის ყველაფერს ვინებთო.

„დინამო“ დღეს დილით გაფრინდა ფრანკფურტს. ოთხსაათიანი ფრენის შემდეგ ჩვენები ავტობუსით გამგზავრებიან ტილზურს და სასტუმრო „ფაბერე“ ლუ ბონოში დაბინავდებიან. ზვალ და ზვე თბილისელები „ვილემ II“-ზე ივარჯიშებენ და სამშაბათს ჩვენი დროით ათის ნახევარზე მასპინძლებს დაუპირისპირდებიან. დინამოელები ფრანკფურტს ამ შემადგენლობით გაფრინდნენ: დავით გვარამაძე, რამაზ სოლოლაშვილი; ზვიად ჯგელაძე, გივი დიდავა, ივანე მახარაძე, არჩილ სახაძე, რევაზ ქემოკლიძე, ლევან მიქაძე, ზურაბ არჩვაძე; გიორგი კიკნაძე, რატი ალექსიძე, გივი კვარაცხელია, ლევან ცქიტიშვილი; ლევან მელაძე, ლევან ზომერიკი, მიხეილ აშვეთია, გიორგი შენგელია, ბესიკ შენგელია.

ბაბატა კვანტალიანი

სილაბაძე ინტერში... ან ნავა, ან არა

თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ზემონათქვამი არ ასდეს. გუშინ თავად ლევან სილაბაძე გეითხრა, რა „ინტერში“ რის „ინტერში“, არაფერი ვიცი, ამის შესახებ არასდროს მსმენიაო. დღესდღეობით ფეხბურთელისთვის თურმე მთავარი ალბანეთთან დამატებული ფუნის მკურნალობაა. მოკლედ, ენათო, ლატვის ჩემპიონატზე მალე მორჩება კობა ინსასარიძე

გერმანია
IV ტური
ანტრასტი 1:1 შტუტგარტი
0:1 ბალაკოვი (71), 1:1 ბრინკმანი (87კ)
მიუნხენი 3:1 გლადაბახი
1:0 ვინკლერი (2), 2:0 კორცი (23), 2:1 კლინკერტი (56), 3:1 ვინკლერი (84)
მემორე ბუნდესლიგა, VI ტური
არმიინა 2:0 კოტუსი
1:0 რეინა (69), 2:0 ბოდე (79)
პარლსჰუ 3:1 ოგარკაჰუანი
0:1 და სილა (15), 1:1 კრიგი (50), 2:1 მისინერი (59), 3:1 ლიპინსკი (84ს.კ.)
ვატინგჰაიმი 0:0 ფორტუნა

პოლანდია
IV ტური
პრეჰენი 0:1 ფიინოროდი
0:1 ტინიო (63)
პორტუგალია
III ტური
აპადევიკა 2:2 სპორტიზმი
0:1 სარბოზა (3), 1:1 სანტუში (23), 2:1 მონტიერო (27), 2:2 პიმენტა (62)
გუშინ გამართული სხვა მატჩების შედეგები იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

ფინალი: ჰინგისი — დავენორობი
US OPEN გუშინ ამერიკის ღია პირველობაზე ქალთა ფინალის მონაწილეები გაირკვენენ. პირველად განთქმულმა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა ჩეხი იანა ნოვოტნა (3) 3:6, 6:1, 6:4 დაამარცხა. მეორე ნახევარფინალში ამერიკელმა ლინდსი დევენორობამ (2) თანამემამულე ვინუს უილიამსს (5) 6:4, 6:4 მოუგო.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



მარტინა ჰინგისი ოფლად და დიმილად დაიდვარა



„ტორპედოს“ ძველი ახალი თავგაბი ჩემალ ხერხაძე

ტორპედოს ხერხაძე უთავკაცებს

გუშინწინ ერთი ვითარით, გუშინ კი მეორე, რა ხდებოდა „ტორპედოში“, ამაში მაინც კი ვერ გაგარკვეით. გუშინ, ბოლო დღეებში გაუჩინარებული, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მოუხელთებული „ტორპედოს“ მებატონე ბესიკ ჯიქია თავადვე დაგვიკავშირდა და ეს გეითხრა: სოსო ფრუიძე „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეთ, სანაცვლოდ კი ბავშვთა სკოლი ხელმძღვანელობა შევთავაზეთო. მისი ადგილი თანამემამულე ჯემალ ხერხაძემ დაიკავა და არა დროებით, არამედ მინიმუმ ერთი წლითო. მწვრთნელის დათხოვნაზე და ახალ კანდიდატურაზე „ტორპედოს“ მესვეურებს კარგა ხანს უბჭიათ და ვიდრე ყველა დამფუძნებელს ჩემს გადაწყვეტილებას შევუთანხმებდი, როგორც ეს სერგო კუტივაძის გათავისუფლებისას მოხდა, ინფორმაციამ გაჟონაო. ჯემალ ხერხაძეს, ვინც ფრუიძის თანამოსაქმე გახლდათ, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად სოსო ფრუიძისთვის ეს ამბავი თავადვე, ნაადრევად შეუტყობინებია. ბესიკ ჯიქიას კი, ფრუიძისთან, მისივე თქმით გუშინდა უსაუბრია. ის პრობლემები კი, რის გამოც ფრუიძე იმერეთის გუბერნატორთან და ქუთაისის მერთან შეხვედრას ლამობდა, ჯიქიამ უფრო მენეჯმენტის გაუმართავობას დააბრალა, ვიდრე ფინანსურ კრიზისს. ეგ კი არა, კლუბში მსხვილი ინვესტიციის მოზიდვაზე ვმუშაობ და ეს დღეებიც, მთლიანად ამან წამართვაო. ბესიკ ჯიქიას თქმით, ერთ-ერთ ძლიერ ორგანიზაციასთან მოლაპარაკება დასრულების სტადიაშია, და საჩემპიონოდ მებრძოლი გუნდის ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხიც თითქმის ბოლომდე გადაწყვეტილია.

REUTERS ნოუ ოორ,კიდან

იტალია

ათი წლის წინ „ლაციო“ „პარმას“ წინააღმდეგ, სერია B-ს შეხვედრა გახლდათ. თხუთმეტი წლის წინ „პარმა“ სერია C-ში თამაშობდა. „პარმას“ არასდროს მოუგია „სკუდელტო“, „ლაციოს“ — ევროპული ჯილდო.

დღეს იტალიაში 1998-99 წლების სეზონი იწყება. ამ სეზონში „ლაციო“ და „პარმა“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული-სთვის დაეჭიდებიან ერთმანეთსა და „იუვენტუსს“.

„ლაციო“ გასულ ზაფხულს იყიდა და იყიდა ფეხბურთელები. 28 მილიონი დოლარი მარტო კრისტიან ვიერის შესაძენად გაიღო. ამრიგად ვიერი რომაულ კლუბში ჩილელი მარსელო სალასის, ზორვატი აღენ ბოკაშიჩის და თანამემამულე რობერტო მანინის კონკურენტი გახდება თავდასხმისთვის გამოყოფილი ადგილების დასაკავებლად. კონკურენცია „ლაციოში“ მართლაც სერიოზულია, საგანგებო ყურადღების ცენტრში კი სალასი გახლავთ.

იმედი მაქვს საწყის ოთხ თამაშს ერთი და იმავე შემადგენლობით ვითამაშებთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ფეხბურთელებმა ერთმანეთს გაეუგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვგონებ ბევრი რამ აირევა, რადგან ჩვენს გუნდში პოტენციალი მართლაც უზომოდ დიდია. — განაცხადა სალასმა, რომლისგანაც რომელიმე ქომაგები მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვალე თამაშს და უამრავ გოლს ელოდნენ.

ამ ხალხს უკან, ნახევარდაცვაში „ლაციოს“ ესპანელი ივან დე ლა პენია, იუგოსლავიელი დეიან სტანკოვიჩი და სხვა, ძველი რომაელები გამოუდგებიან, დაცვაში კი პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ, იტალიელი ალესანდრო ნესტა და იუგოსლავიელი სინიშა მი-

ტოპატი, რამ და მოგილური ტელეფონი

რო“ ევროპის კონტინენტზე ტოპატების უმსხვილესი მწარმოებელია.

„პარმას“ ფული კი „პარმალატის“ სეიფიდან მოდის. ეს კორპორაცია მსოფლიოში რმის პროდუქტების წარმოების ლიდერი გახლავთ და თან ფეხბურთის კლუბებსაც აფინანსებს. სწორედ „პარმალატის“ სეიფიდან ამოღებულმა ფულმა გადაიფინანსა გენუის „სამპდორია-ადან“ მილანის მეზობელი ქალაქის გუნდში არგენტინელი ნახევარმცველი ხუან ვერონი. სწორედ იმ სეიფის გამოა ვერონს „ტარდინის“ სტადიონზე მსოფლიოს უდიდესი მცველები, ფრანგი ლილიან ტურამი და იტალიელი ფაბიო კანავარო რომ დახვდნენ.

კიდევ „პარმაში“ არიან კოლუმბიელი ფორვარდი ფაუსტინო ასპრილია და ცნობილი იტალიელი ენრიკო კიეზა, გუნდის ახალ მწვრთნელს ალბერტო მალესანის კი შეუძლია თამამად შეთავაზოს ნიჭიერი ფეხბურთელები და სატრანსფერო ბაზრის კარს ახლიდან რომ გააღებენ, თქვას, ეს კაცი მე მინდაო.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, იტალიის უდიდესი კლუბები გასულ ზაფხულს შედარებით მშვიდად იქცეოდნენ. „იუვენტუსმა“ ფაქტობრივად არავინ იყიდა, „ინტერმა“ კი უცხოელთა დევნას შინაურების, რობერტო ბაჯოს, ნიკოლო ვენტოას და ანდრეა პირლოს შემატება არჩია.

მოკლედ, „იუვეცა“ და „ინტერიც“ ძირითადად ძველ ვარსკვლავებს ვერდნობიან. ამ ვარსკვლავთაგან „იუვეს“ ალესანდრო დელ პიეროს დასამტკიცებელი აქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უსახური თამაში შემთხვევითობა იყო, „ინტერის“ ბრაზილიელ რომაელს

ტევათი შეიარაღდა, „რომა“ იტალიელებს ლუიჯი დი ბიაჯოს, ეუსებო დი ფრანჩესკოსა და ფრანჩესკო ტოტის დაევერდნობა.

ზოგადი სიახლე ისაა, რომ იტალიაში საფეხბურთო კლუბებმა საფონდო ბირჟას მიაშურეს. ეს, 90-იანი წლების ინგლისური მიგნებაა, რომელმაც აქენინებზე მე-100, საიუბილეო ჩემპიონატზე იფეთქა. კიდევ, დღეს სერია A-ს ისტორიაში პირველად დაიწყება ჩემპიონატი, რომელსაც მისი მთავარი სპონსორის, მობილური კავშირგაბმულობის ფირმის „ტელეკომ იტალია მობილს“ სახელი ერქმევა.

ისიც საინტერესოა, რომ სამარკეტინგო საქმეში „რომა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაჰყვა, „იუვენტუსი“ — „კრისტალ პალასს“.

კიდევ რა თქმა უნდა, დობინგ სკანდალი, რომელზეც ამდენი დაიწერა. ის, შესაძლოა, კიდევ წამოტივტივდეს, თუმცა ამწუთას, უნდა ითქვას, რომ სეზონის დასაწყისზე მან ვერაფრით იმოქმედა.

მოგესვენებათ რაზეცაა საუბარი: ამ ზაფხულს „რომას“ ჩეხმა თავკაცმა ზდენეკ ზემანმა ერთერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იტალიურ ფეხბურთში დობინგი მეტად მოდებულია. ამ განცხადებამ აუიოტაჟი

და გამოიძვბათა მთელი ჯაჭვი გამოიწვია, რომელსაც გარკვეული შედეგი არ მოჰყოლია. ერთმა ზემანს ავანტიურისტი უწოდა, მეორემ — სამართლიანი კაცი, ეს იყო და ეს.

ხოლო იტალიის ნაკრების ჩავარდნამ მსოფლიოს პირველობაზე, კვლავ და კვლავ წინა პლანზე წამოწია უცხოელ ფეხბურთელთა გამალებული შექმნის საჭირობოტო თემა. სულ უცხოელეები, უცხოელები... იტალიელი მოთამაშეები კი ჩრდილში ექცვიან და თანდათან კნინდებიან, ამბობენ კრიტიკოსები.

გიდემონ ლონგი, როიტერი

ჩემპიონები, პრიზიორები და ბოზარდირები

Table with 4 columns: Year, Club Name, Player Name, and Points. Lists champions and prize winners from 1930 to 1998.



რონალდო და „ინტერის“ უზომო სიხარული — აი, რისი იმედი აქვთ „სან სიროს“ შავლურჯ გულშემატკივრებს

პაილოვიჩი გამოკლენ. კიბლები „ლაციოში“ უკვე გამოაჩინა. აგვისტოში, იტალიის სუპერთასზე „იუვენტუსს“ 2:1 სძლია და შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერიკსონს იმედი მიეცა, რომ გუნდს ტურინულ „ზებრასთან“ ღირსეულად გაეჯობება ხელეწიფება.

როგორც ხედავთ, „ლაციო“ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე დიდი რიხით შეიჭრა და ფულიც გვარიაანად ხარჯა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რომაელებს თანხები გამოუჩნდათ. ეს თანხები მისში საფონდო ბირჟაზე აქციათა გატანისა და ძირითადი მეპატრონის, საკვები პროდუქტების მწარმოის, სერჯო კრანიოტის კორპორაცია „ჩიროს“ ხელგაშლილობის შედეგია. „ჩი-

კი უპირველესად საკუთარი თავისთვის იმის ჩვენება მართებს, რომ 21 წლისა გადადღილ-გადამწვარი არ არის. „მილანმა“ „უდინეზესგან“ გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, გერმანელი ოლივერ ბირჰოფი იყიდა. ბირჰოფთან ერთად უდინეს გუნდიდან მილანში გადაბარდა მწვრთნელი ალბერტო ძაკერონიცი.

მაშ ასე, „მილანს“ კვლავ უნიჭიერესი მოთამაშეების საკრებულო აქვს, თუმცა ვინ-ვინ და თავადც ჩინებულად იცის, რომ ეს ყოველთვის არაა საკმარისი.

სხვა სიახლეებისა რა მოგახსენოთ: „ფიორენტინას“ ახალი თავკაცი ჯოვანი ტრამპატინი უხელმძღვანელებს. „სამპდორია“ არგენტინელი არიელ ორ-

ინფორმაცია

ჩემპიონთა თასზე ზედიზედ ორი ფინალის წაგება ფრიად შეურაცხყოფელი გამოდგა უტიტულოვანის, თავმოყვარე გუნდისთვის...

ინტერვიუ

საყოველთაოდ მიჩნეული „იუვენტუსის“ უმთავრესი უთხურე-ნტად. გასული სეზონის ისედაც ძლიერ შემადგენლობას ახლა რობერტო ბაჯოც დაემატა...

უძინეზა

ისტორიაში უდიდესი წარმატება — გასული სეზონის შესაძლოად გიგანტური დასრულება, რომ ამ წარმატების შემოქმედი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ფორვარდ...

რომა

კაცმა არ იცის, რას იზამს, ვინაიდან ერთ წუთში რომ შეუწყრებელია, მეორე წუთში სუსტ გუნდს ემსგავსება. მწვრთნელად კვლავ ზედნეკ ზემანი პყავს...

ფორმინი

გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებული დიდი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი სწორედ ფლორენციელებს ჩაუდგა სათავეში. ტრაპატონი ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის...

ბარმა

მწვრთნელი ახალია, ალბერტო მალესანი, მიზანი კი ძველი — იტალიის ჩემპიონობა. ზაფხულზე სა-



იტალიური ტრადიციის თანახმად ტურინის „იუვენტუსის“ ბევრმა ფეხბურთელმა „სკუადეტო“ შორტების ჩახდით იხემა. ნეტავ ამ სეზონის ბოლოსაც ჩაიხდის „ბებური ქალბატონი“?

საბავშვო სკოლა

ტრანსფერო ბახარზე კლებმა დი-დალი თანხა დახარჯა.

ლატინი

უამრავი ახალი ვარსკვლავი შეიძინა. შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერესონს შეუძლია ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე თანა-

კოლონი

თუ ისე ითამაშებს, როგორც გასული სეზონის პირველ წრეში, უეჭველად გაეარდება, ხოლო თუ ისე ითამაშებს, როგორც მეორეში, ბევრ დიდერს პრობლემას შეექმნის.

სამპლონი

გუნდი ბევრმა ვარსკვლავმა დატოვა: ზუან ვერონმა, ალენ ბოგოსიანმა, ინიშა მიპალიოვიჩმა... საქმეს არგენტინელი არიელ როტე-

მილანი

სან სიროელ შავ წითლებს ახალი მწვრთნელი, „უდინეზესგან“ ნაციდი ალბერტო ძაკერონი და ნაციდი ვარსკვლავთურები პყავთ.

ბარი

„ინტერმა“ მისგან თავდამსხმელი ნიკოლო ვენტოლა იყოფა. ზაფხულზე გადაბირებული ორი შვედი და ორი დაიხელი საქმეს უშველიან თუ ვერა, საკითხავია.

შამპლი

გასულ სეზონში გაეარდა რომ

გადარჩა, ყველას გაუკვირდა. ახალი და განსაკუთრებული არაფერი უყიდა, პოპულარული მწვრთნელი, ლუჩანო სპალეტი კი „სამპ-დორიაში“ წაუვიდა.

პანინი

გასული სეზონის ბოლო ტურში სტუმრად მოგება ჭირდებოდა, რათა არ გაეარდნილიყო და შოიო კოდეც. პატარა ბიუჯეტი და მხოლოდ იტალიელ ფეხბურთელთა ყი-დევის პოლიტიკა მას თავის დაღს ასვამს.

ვიჩენა

გასულ სეზონში თასების თასზე კარგად იასპარეზა, შინ კი გაეარდას ძლიერად გადარჩა. ალბათ, ცხრილის შუაში დაამთავრებს ახალ ჩემპიონატს.

სალერნი

50 წლიანი „პაუსის“ შემდეგ ისევ სერია A-შია. სერია B-ში ჩემპიონი იყო. ძირითადად თავდამსხმელის მარჯო დი ვაიოს იმედი აქვს. დი ვაიომ გასულ სეზონში სერია B-ში 21 გოლი გაიტანა.

ვენეცია

„მილანისგან“ შეკარე მასიმო ტაბი იყოფა. სხვა მხრივ ყველაფრით უცნობია. სერია A-ში ბოლოს 31 წლის წინ იყო.

კალიარი

სულ აფრიკელ ფეხბურთელებს ყიდულობს. 1970 წელს იტალიის ჩემპიონი იყო, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც ზღაპარია.

პერუჯა

სერია A-ში ერთი სეზონი გაატარა და დაბრუნდა. ამ საქმისთვის „ტორინოს“ პლეი ოფში შენაღებებით მოუგო. ბრძინილილი ზე მარბას და იამონის საუკეთესო ფეხბურთელის პიდეტოში ნაკატას იმედი აქვს.

ტრანსფერები

Table of player transfers with columns for player name, origin club, destination club, and transfer fee. It includes sections for arrivals, departures, and renewals.

Table of soccer league fixtures with columns for team names and dates from 1 to 18.

ამბობენ, კარგი ფეხბურთელებისგან მალაღობა მკვირთხელები იშვიათად გამოდიან და თუ ასეთი შემთხვევები მაინცაა, მაშინ ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებიც მოედანზე ექსტრაორდინალური, არასტანდარტული აზროვნებით გამოირჩეოდნენ. არავითარი პრეტენზია არა მაქვს, თავი ექსპერტად წარმოვიდგინო და ამ საკითხის გარშემო პოლემიკა გავმართო, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ საბჭოთა კავშირისა და კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ლეონიდ ბურიაკი გამონაკლის ნამდვილად არ წარმოადგენს. ვისაც ბურიაკის გამორჩეული ხელწერა და თამაშის მანერა, მისი ზუსტი და მოულოდნელი გადაცემები თუ და რტყმები ახსოვს, მაშინ უეტყველად დამეთანხმება და თუ მისი თაობის კიევის დინამოელების უმეტესობა სწორედ მწვრთნელად მუშაობს, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ლეონიდ ბურიაკიც იგივე გზას ენისა. იგი ჯერ ოდესის „ჩერნომორეცს“ ჩაუდგა სათავეში, ხოლო შემდეგ უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტადაც მიინვით. ჩვენი საუბრის პირველი ნაწილი რუსეთისა და უკრაინის ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ შედგა და სწორედ ამ შეხვედრას შეეხო, ხოლო დანარჩენ საკითხებზე მთელი დღისთვის დავთქვით შეხვედრა, რადგან 5 სექტემბრის საღამოს უზონოდ გახარებულ ლეონიდ ბურიაკს, ბუნებრივია, ნაკრების ფეხბურთელებთან უნდოდა ყოფნა და ამდენად, დროში საკმაოდ შეზღუდული იყო. მიუხედავად იმისა, რომ იოყეფ საბოს თანაშემწე 6-ში ოდესაში აპირებდა გამგზავრებას თავისი კლუბის საქმეებზე, მან მაინც გამოიხარა დრო და რამდენიმე წუთი დამითმო. არც მე დამიძალებია. ვიცოდი, მეგობრების წრეში უღალატო კაცად ცნობილი ბურიაკი სიტყვას არ გატეხდა და ასეც მოხდა.

ბურიაკი, როგორი იყოფიანი პიროვნება

— გატყობთ, მეტად გახარებული ხართ და ძლიერი ემოციები მოგატარებიათ. და მაინც, რა შეგიძლიათ თქვით ახლახან დასრულებული მატჩის შესახებ?

— როგორც მოველოდით, მძიმე და რთული შეხვედრა გამოდგა. საერთოდ, ძველ მეტოქეებთან ყოველთვის ძნელია პაექრობა, მით უმეტეს, ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორც რუსეთის ნაკრები. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენმა გარჯამ უკვალოდ არ ჩაიარა და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ.

— თამაშის ხარისხმა თუ დაგამაყოფილა?

— თამაშითაც და, რა თქმა უნდა, შედეგითაც კმაყოფილი ვარ. ძალიანძიერი ორთაბრძოლები მრავლად იყო და მატჩი იქნებ ნაკლებად კომინაციური გამოვიდა, მაგრამ თავად ხომ ნახეთ, როგორი დამატბულობა სუფევდა მინდორზე. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მოთამაშეთა ოსტატობას, არამედ მათ ფსიქოლოგიურ მომზადებასაც, რაც დღეს უკრაინის ნაკრებს სათანადო დონეზე აღმოაჩნდა.

— პოლიტიკურმა ფაქტორმა თუ მოახლინა გავლენა შეხვედრაზე?

— ალბათ გარკვეულწილად ესეც იყო. თუმცა მე ყოველთვის იმის წინააღმდეგე ვიყავი, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან დაეკავშირებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, უამისობა არ ზერხდება, რაც ძალიან საწყენია. ადრე ჩვენ ერთად, ერთ გუნდში ვიამაშობდით, ესლა უკვე ერთმანეთის წინააღმდეგ გვიწევს გამოსვლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ერთმანეთს გადავეკიდოთ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო იმის ხილვა, რომ მოთამაშებმა მატჩის შემდეგ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და მისი სურები გაცვალეს. მერწმუნეთ, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ასე უნდა ვამბოდეთ, არა, უბრალოდ, მე მართლაც ასე ვთვლი. თანაც ამ მხრივ ფეხბურთიც იკებს. ზომიერადსულ დაძაბულ ატმოსფეროში ფეხბურთელები ყოველთვის ვერ ახერხებენ იმის ჩვენებას, რაც შეუძლიათ. დავიპოლიტიკოსებმა იკამათონ, უბრალო ხალხს კი არაფერი აქვს გასაყოფი. პატივითების გრძობას სხვათაირი გამოკონება სჭირდება და არა ბოლმაში გამოხატვა.

— კი მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ უბრალო ხალხს შორის, რომლებიც დღეს როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან იხსენიენ, არც თუ მეგობრული განწყობილება სუფევდა? გულმეატკივრებს ვგულისხმობ.

— იცით, ჩვენ ინვლისელებთან არაფერი გვაქვს გასაყოფი, მათი ფანები რომ ჩამოსულიყვნენ, როგორ ფიქრობთ, ყველაფერი სიმპტილობაში ჩაივლიდა? ფანები ეს სულ სხვა კატეგორიაა. თანაც განა არ დააკვირდით, რომ მათი უმეტესობა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო. შეიძლება ისინი სულაც მშობლებს გამოეპარნენ და ისე ჩამოვიდნენ. განა ასეთებს რაიმე მოეკითხებათ?

— მთავარი ინციდენტები მაშინაც იყო, როდესაც ფეხბურთის თამაშობდით?

— ძალიან ნაკლებად. მაშინ სხვა დრო იყო.

— ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას განაცხადით, რომ მწვრთნელობას ხელს არასოდეს მოჰკიდებდით. ამჟამინდელი არჩევანი რამ გამოიწვია?

— იცით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდობისას მეჩვენებოდა, რომ მწ-



მთავარი და თანაშემწეები: იოყეფ საბო, ლეონიდ ბურიაკი და გლადიმერ ვერემევი

ვრთნელობა არც თუ ისე ძნელი საქმე იყო. კარგი ფეხბურთელები, ტრინინათა მხარდაჭერა და თამაშის ეს არის. მაგრამ როგორც შემდეგ მივხვდი, ეს ურთულესი პროფესია გახლავთ. მწვრთნელი, ვარდა იმისა, რომ ჩინებული უნდა ერკვეოდეს თამაშის ნიუსებში, ამფორთულად ფსიქოლოგი და პედაგოგიც უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ის არ უნდა განიცდიდეს პატიოსნების დეფიციტს, რადგან თუ მოთამაშებ შენში სიყალბის ნასახი შეამჩნია, უკვე აღარ გენდობა და მაშინ არც არაფერი გამოვა. ყოველივე ამის გათვითცნობიერების შემდეგ გადავწყვიტე, ბედი მეცადა ამ საინტერესო საქმიანობაში. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მწვრთნელობა უმაღლური საქმეა. წარმატებისას ავაყვავებენ, მაგრამ თუ რამე არ გამოვივა, გაგანადგურებენ.

— როგორ ფიქრობთ, გაქვთ ყველა ეს თვისება რაც ჩამოთვალეთ?

— მაშინ ხომ იდეალური მწვრთნელი ვიქნებოდი. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი სტიმული დამეკარგებოდა და ამ საქმიანობასაც თავს დაეანებებდი. ვცდილობ, რაც შეიძლება კარგი ვიყო, ამისთვის კი მარტო გამოცდილება და ნიჭი არ კმარა, საკუთარ თავზე მუშაობაც აუცილებელია.

— არ მიწყინოთ, მაგრამ ცოტა უცნაურია: „ჩერნომორეცს“, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, ტოგების უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას, თქვენ კი ნაკრებში მუშაობთ, თუნდაც მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ.

— „ჩერნომორეცის“ დადამსვლაში მწვრთნელები და ფეხბურთელები ყველაზე ნაკლებად იყვნენ დამნაშავენი. გუნდი ისეთ ფინანსურ რყევებს განიცდიდა, რომ მივირის, როგორ არ დამშალა. ახლა მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და ახალ სეზონში სტარტიც ბევრად წარმატებული გექონდა. ამჟ-

მად პირველ ადვილზე ვართ და ჩვენი ერთადერთი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა.

— უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს რამდენიმე ასისტენტი ჰყავს, რომელთა შორის ერთერთი თქვენ ბრძანდებით. როგორ ინაწილებთ ფუნქციებს სავარჯიშო პროცესში?

— არის გუნდები, რომლებშიც ფუნქციები მკაცრად განაწილებულია და ყოველი ასისტენტი მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს. მსგავსი რამ ჩვენთანაც შეიმჩნევა, მაგრამ ბევრად ნაკლებად. ძირითადად ყველა ვაკეთებთ იმავე, რაც გუნდისთვის არის საჭირო და რაზეც მთავარი მწვრთნელი მიგვითითებს. ასე რომ, ამ მხრივ მკაცრად შეზღუდულები არ ვართ.

— საბო მთავარი მწვრთნელია, ხოლო ლობანოვსკი კონსულტანტი, ანუ როგორც უკრაინაში უწოდებენ, მთავარი მწვრთნელი. არ გვიკრთ ამ საზოგადოებაში მუშაობა?

— პირიქით, ეს ჩემთვის საინტერესო და სასარგებლოა. უამრავ რამეს ვსწავლობ. თანაც ჩემი კარიერის მანძილზე მიდენ სხვადასხვა მწვრთნელთან მიმუშავია, რომ ყველაფერს შეჩვეული ვარ.

— საყმაოდ ნაყოფიერი სათანამშო კარიერა გქონდათ. შეგეძლოთ უფრო მეტისთვის მიგეწლიათ? სრულიად გამოავლინეთ თქვენი შესაძლებლობები?

— სიმართლე გითხრობ, დიდი დავუკმაყოფილებლობის გრძობა დამჩრა. ამის გამო კარგაზნას თავს ვიკავებდი თამაშს თავს არ ვანებებდი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ მეტს ვეღარ მივაღწევდი. ამჟამად უიღბლოა მდევდა თან. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდად მძიმე ტრავმა მივიღე და ამის შემდეგ ეს კიდევ ბევრჯერ განმეორდა. ამ მხრივ გულშემატკივრები მე და ვლადიმერ ბესსონოვს გვაღარებდნენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას კიდევ უფრო მეტად არ უმართლებდა. რომ არა გაუ-

ნიციულ გადაწყვეტილებებსაც ის უნდა დებულობდეს, ვარდა ამისა, ალბათ არც ფეხბურთელები იყვნენ სწორად შერჩეულნი, თუმცა იმ კონტინენტით, რომელიც ესპანეთში გაემგზავრა, მაინც შეიძლებოდა მალაი მიხევისთვის ბრძოლა.

— ფეხბურთელების არასწორად შერჩევაში რას გულისხმობთ?

— ჩემი მხრიდან ახლა უხერხულია ამის შესახებ საუბარი, თანაც უკვე იმდენი წელი გავიდა...
— კიევი ამბობენ, ბურიაკი თანაგუნდელთან შეღავნებით ფიზიკურად სუსტად იყო მომზადებული. როგორ ახდენდით ამის კომპენსაციას?

— ფიზიკური სისუსტე ჯერ კიდევ ბავშვობისას იყო ჩემი ნაკლი. ამის გამო საგანგებო ვარჯიშების შესრულებაც კი მიწევდა, რადგან, როგორც მწვრთნელი მეუბნებოდნენ, ასეთი მოწინავე სწავლა უფრო ეფექტურია ვიდრე ჩვეულებრივი. უფრო მოწინავე ასაკში კი მივხვდი, რომ მეც მქონდა ჩემი კონსტრუქციური დეფიციტები, რომელთა გასაუმჯობესებლად ვარჯიშებს ვწვევდი. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ფეხბურთი ნაკლებად ძალიან იყო. დღეს რომ მეთამაშა, კიდევ უფრო გამიჭირდებოდა.

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შესახებ რა აზრის ხართ?

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, რომელსაც ახლა ზოგიერთები ცუდად იხსენებენ, მალაი დონისა იყო. მართალია, გარკვეულ მიზეზთა გამო ჩვენ არ გვყავდა იმდენი კავშირი ვარსკვლავი, რამდენიც ევროპას და არც ზღაპრული შემოსავლები გვქონდა, მაგრამ საერთოდ მე მაინც გაუგანდა. ამის გამო ნაკრებში მოსახვედრად ძალიან მალაი კონსტრუქცია იყო და მუდამ ფორმში ყოფნა გვიწევდა. საქმარისი იყო, ვინმეს ეჯობნა და არავინ უწყობდა, რამდენი ხნით გამოემშვიდობებოდი ადვილს ძი-

რითად შემაღველობაში. წყვილს შენის წინ მოსკოვში რენატ ცალაგის მიწვევდა. ვლადიმერ, გავისწვით წარსული და რენტამაც ზუსტად იგივე თქვა. ჩვენებიც ასე ფიქრობენ. დარწმუნებული ვარ, თქვენს ფეხბურთელებსაც რომ პკითხოთ, ყველა ზუსტად იგივეს ვიპასუხებთ. შესაძლოა, იყო რაღაც ნაკლოვანებები, მაგრამ, ჩემი აზრით, დადებითი უარყოფითს სჭარბობდა.

— ბევრჯერ მომხმენია, რომ თქვენი და ჩვენი დავით ყიფიანის თამაშის სტილი ძალიან წააგავდა ერთმანეთს.

— ეს მეც გამიგონია და ყოველთვის მსიამოვნებდა. დაიო ხომ უღამაშეს, გააზრებულ და ელეგანტურ ფეხბურთის თამაშობდა. ვიცი, რომ იგი მწვრთნელად მუშაობს და ამაში არაფერი ვადასკავებ. დარწმუნებული ვარ, მას ყველაფერი წესრიგში ექნება. ყიფიანის და ჩემი სათანამშო სტილის მსგავსებასთან დაკავშირებით ერთ კუროსულ ამბავს მტკიცებით. კიევის „დინამო“ ესპანეთში იმყოფებოდა შერკებაზე. საღამოს რომელიღაც პატარა ქალაქის საშოგარულო კლუბთან გვექონდა შეხვედრა. მატჩი პატარა სტადიონზე მიმდინარებდა და მაყურებლები პირდაპირ მიედინის სიახლოვეს იყვნენ მოკალათებულნი. პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ გასახდელისკენ რომ გავემართეთ, ესპანელ გულშემატკივრებს ერთერთი გამოიყო და ჩვენს წამოვიდა, თან რაღაცას გაიდაზოდა. გავში. მისი ლაპარაკიდან ვერაფერი ვაგვიგე, მხოლოდ კიპიანი, კიპიანი მეხმოდა. როგორც შემდეგ ამიხსენს, თურმე ცოტა ადრე ესპანეთში თქვენი „დინამო“ იმყოფებოდა და იმ კაცს ყიფიანის თამაში უნახავს. ახლა კი გაკვირებული ამბობდა ჩემზე, ესეც მასვე თამაშობს, მაგრამ გარეულად სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. ბოლოს, თამაშის დასრულების შემდეგ, სურათიც კი გადავიღეთ ერთად.

— ყიფიანი და თქვენ ნაკრებში კონსურტები არ ყოფილხართ?

— ალბათ ასეც იყო, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ისე ემთხვეოდა, რომ დიდ საერთაშორისო მატჩებზე ან დათო იყო ტრავმირებული და მე ჯანმრთელი, ანაც პირიქით. ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით. ასე რომ არ ყოფილიყო, ერთმანეთთან ისეთივე კარგი და მოკიდებულება გვექნებოდა, როგორც გვექონდა. მაგალითად, კიეველები — კუნეცოვი და ბალტანა ჩივიამისა და სულაქველიძის კონკურენტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ჩვენს ფეხბურთელებს შორის მუდამ თბილი ურთიერთდამოკიდებულება იყო. ვარდა ამისა, მწვრთნელს თითქმის ყოველთვის შეუძლია, დაალოებით ერთი ფუნქციისა და სტილის ფეხბურთელებს შორის კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღოს და მაინც ერთად გამოიყვანოს ისინი მოედანზე.

— შეკარებისაც?

— (იცინის) შეკარების შემთხვევაში ცოტა რთულია.

— საზღვარგარეთ რომ მოგეცეთ მწვრთნელად მუშაობის საშუალება, წაგვალთ?

— საზღვარგარეთ ნორმალურ გუნდში მუშაობას დიდი კვალიფიკაცია და გამოცდილება უნდა, რისთვისაც ჯერ ბოლომდე მზად არ ვარ. სადმე მუშაობას კი ისევე სამშრობოში ყოფნა მირჩევენია. ვერჯერობით ასე, მერე ენახოთ.

— რომელმა მწვრთნელმა ბატონა თქვენმა ყველაზე ღრმა კავშირი?

— რა თქმა უნდა ვალერი ლობანოვსკიმ. მასთან წლების განმავლობაში ემუშაობდი და უამრავი სასარგებლო რამ შევიძინე.
— არ გინდებიათ ხოლმე სურვილი, თქვენს თანამებრძოლებთან ერთად შეიქრიბოთ და ძველი ბატალები გაიხსენოთ?

— როგორ არა, თანაც საკმაოდ ხშირად. მე არა მარტო კიევის დინამოელებს ვგულისხმობ, არამედ სხვებსაც. თუმცა ამ ოცნებას სულ მალე აკონსულტავს. მოსკოვში ყოფნიას რენტატ დასაეგმა მითხრა, რომ გამოსამშვიდობებელი მატჩის მოწყობას აპირებს, სადაც ძველ გვარდას, საბჭოთა საფეხბურთო სკოლის საუკეთესო ფეხბურთელებს, რუსეთის, უკრაინის და საქართველოს ვეტერანებს მიიწვევს. მაშინ კი ყველას ვენახავ. მერე არა, რომ უწინდებურად არც სირბილი შეგვიძლია და არც კარში დარტყმა. ფეხბურთი ხომ ყველას ძველებურად გვიყვარს.

ირაპლი სირამა ჩიფერიანი
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა“
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

საქართველოს ყველა ღრის საუკეთესო ფეხბურთელი, პეპონალი, სიგოლური ნაპრპი სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთის გასული საუკუნის მისწრაფიდან ანუ ავერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრი დიდოსტატს უგორებია ტყაყის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემმატყვიართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამოვარჩეულნი გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზუთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქცი-ში. ვთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზუთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხება. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება №1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208

Blank form for voting, including fields for name, address, and ballot selection.

სარბიელი სპორტული ლაბარია "CROCO"

Table listing various sports events, results, and participants. Includes sections for 'გერმანიის ჩემპიონატი', 'ესპანეთის ჩემპიონატი', etc.

რას ვართ, ესა ვართ „სოტს“ მდიდრების არ ეუბნია

სექტემბერს საქართველოს ვიცე-პრემიერი რუსთაისი „სოტს“ კორპორაციის თა-სზე დინეციის „საბჭოთავის“ უმასპინძლე-ბს თბილისის სპორტის სასახლეში...

სეროხულად ეიფლებან ჩვენთან თამაშს. — შარშანდელი შეხვედრა ტა-ლინის „ფიფერსთან“ ალბათ ახლაც გახსოვთ.

ეს ყველაფერი ჩვენც გააზრებული გვაქვს და კარგად ვიცით, ვისთან მიგ-ვიწვევს საჭმის დაცვარს. საბოლოოდ მხად ვართ და შერწყმულნი, მონადირეობა არ დავაკლებთ.

— გვახსოვს და მერე როგორ. 18 ქუ-ლით რომ დავწინაურდით, თავს მოდუნე-ბის უფლება მივეცით. აკი დავისაკეტი კიდეც ესტონელებმა თამაში შემოგვიტ-რიალეს და გეხსობებათ, რა წერვების წყ-ვეტის ფასად გავიმარჯვეთ თბილისში.



მაგნუს ლარსონი

წინსვლა პასივისტურად

ტად უსიამოვნო სიტუაციიდან მო-უსხდა თავის დაძვრება — თავისი მოწოდება დაკარგა და მეტოქეს 4:2 დაწინაურება დაანება.

მარსელი რიოსის გამგებზე შედ მა-გნუს ლარსონთან შეხვედრაში, თავისთ-ვისაც მოულოდნელად, მოიას არანაირი პრობლემა არ შექმნია.

US OPEN

სუთშაბათს არტურ ემის ცენტრალურ კორტზე ორი ისეთი მეთხედვინალი გა-იმართა, მაყურებელს დაინტერესების ნ-ტამალეც რომ არ გამოუჩინებ, არადა, ერთი მათგანი, დაძაბულობით მაინც, ბევრ ფი-ნალს არ ჩამოუყარებდებოდა.

ამთხადილ სხანიძე

Table with tennis match results: მათხადილ სხანიძე, კაცები, მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი 4:6, 6:3, 6:7 (3:7), 6:3, 7:6 (12:10); კარლოს მოია (10, ესპანეთი) — მაგნუს ლარ-სონი (შვედეთი) 6:4, 6:3, 6:3

Table with tennis match results: მათხადილ სხანიძე, კაცები, სენდონ სტოლი (ავსტრალია) და სირილ სუჯი (ჩეხეთი) — მაქმუ ბაბუაძი და ლენადერ პაიეს (ინ-დოეთი) (4) 6:3, 7:6 (7:4); მარკ ნოულსი (ბაჰამეთი) და დანიელ ნესტორი (კანადა) (6) — ჯონ დე ჯეგერი (სამხრეთ აფრიკა) და რობი კინგი (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:2

უენგელია აზნისტიას ელის



კახა შენგელიას წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. იგი სულ ახალგაზრდა იყო, როცა თბილისის „დინამოს“ მისუი მორგო და ყველაზე პერსპექტიული მითამაშედ ითვლებოდა მის კბილა ბიჭებში.

კახა წლების მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას. ერთი სეზონი შეგდითშიც მოიწავა ძალა, „გითამი“ კი საქართველოს ჩემპიონის ტიტულაციც მოი-პოვა და „დინამოში“ დაბრუნდა.

ლუდი გიგარს კლიან

როგორც ვიცო, რამდენიმე წლის წინ ჩოგბურთისთვის თა-ვის დაიხვეწა საკი აპირებდით. ყველაზე მიძიდ კარიერის რი-მელ მომენტს თვლით?



სიმაღლე გითხრათ, სუ-ნებს და კვამლს წინა წლების ტურნირებში კარგად ვერც ვისწნებ, რადგან მაშინ ამისვის თბიეტურად დროც არ მქო-ნდა — სულ პირველი წრებე-დან ვვარდებოდი. რაც შეეხება ხალს, ისინი ზოგჯერ მართლაც ძალიან ხმაურობენ, მაგრამ რო-დესაც კარგ ჩოგბურთს, კარგ მატჩს უყურებენ, ხელს ნამდე-ლად არ გიშლიან.

ბიორგბი ბიკაზმლი

კახა შენგელიას წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. იგი სულ ახალგაზრდა იყო, როცა თბილისის „დინამოს“ მისუი მორგო და ყველაზე პერსპექტიული მითამაშედ ითვლებოდა მის კბილა ბიჭებში.

ნაგვარფინალში პიტ სამპარას სეღებთ. ერთი თვის წინ ცინცინატის ტურნი-რის ფინალში მისთვის რომ არ მოგვედით, ამ მატჩს საყუთარი ძა-ლების დიდი რწმენით, ალბათ, არ შეხვდებოდით...

რა თქმა უნდა. რაკი მექოღინება, რომ უკანასკნელ შეხვედრაში მოვეგე ისე დაძინებული ადარ ვიქნები, როგორც ადრე თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ახსო-ლურტურად არ ვიხერხილებ. იგი ყველა-საგან განსხვავებული ჩოგბურთელია, ძლი-ერი ჩოგბურთელი.

მონსას სრავები უყვარს

იტალიის დიდი პრიზი, ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატების დაწყებისთანავე ტარდება და წლებულს 49-ედ უმასპინძლებს მსოფლიოს უძლიერეს პილოტებს.

რობოლა ტრადიციულად „მონსას“ ტრავ

„მონცაზე“, ადვილი დასამრცხებელი არ გახლავან, ამასთან „უილიამსი“ ეცდება 330-ე რობლა წარმატებით ადინოზოს, ხოლო წინა ეტაპზე გამარჯვებით ფრთაშესხმული პილოტ (რომელსაც ბოლო 5 წელიწადში აქ ორი გამარჯვება აქვს მიპოვებული) უბრძოლველად არაფერს დათმობს.

რობლისათვის ეზაღებინ საბურავების მწარმოებლები „ბრიჯსტონი“ 1830 საბურავის ჩატანას აბირებს, თანაც წინა საბურავები უფრო ვიწრო იქნება ვიდრე წინა რბოლებში, „გუდიარი“ კი „იტალიის დიდ პრიზზე“ 21-ე გამარჯვების მოპოვებას შეეცდება.

პარასკევის ვარჯიშზე საუკეთესო ირვინი (ფერარი) გახლდათ 1.24,987 (244,413 კმ/სთ). ირლანდიელმა თავის საუკეთესო წრე კონსპირული წვიმის დაწყებამდე გააირა, მის მეტოქეებს კი ამის საშუალება არ მიეცათ. საბოლოოდ პირველი ექვსეული ასე გამოიყვინა:

1. ირვინი 1.24,987
2. შ. შუმახერი 1.25,246
3. კულჰარდი 1.25,690
4. ვილნევი 1.26,053
5. ჰაიკინენი 1.26,159
6. ფრენცენი 1.26,528

ნელ-ნელა ირკვევა გუნდების მომავალი შემადგენლობებიც. ფრინ პერბერტმა „სტიუარტთან“ 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და იმედოვნებს, რომ მისი გამოცდილება ბოლოს გამართვაში დაეხმარება შოტლანდიელებს. ვერჯერობით ცნობილი არ გახლავთ მისი პარტნიორის ვინაობა, რადგან ბარიუელს გადაბირება BAR-ს სურს, ამ შემთხვევაში ბრაზილიელი პილოტს „სტიუარტის“ კონტრაქტი სვან თავის გამოსყიდვა მოუწევს. „უილიამსმა“ და „ჯორდანმა“ კი პილოტები გაცვალეს, რაფუ შუმახერი „უილიამსში“ გადაბარვდა, სადაც მისი შესაძლო პარტნიორი ალექს მანარდი გახლავთ. მაინც-პარალელ ფრენციენი კი გაისაღდემონ პილის გვერდით იასარეზებს.

ალეკო შაბუჭიანი

როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ჩვენს მოლოდინსაც დაუდგა დამთავრების უამი. სამნუსხაროდ, ვერც ამჯერად გავიხარეთ — თავისუფლად მოჭიდავითა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს უკანასკნელ იმედად დარჩენილმა ემზარ ბედინიემილიმა გუშინ კანადელ დევიდ ეგალთან ნააგო და ბრინჯაოსთვის ბრძოლის შანსიც დაკარვა

ისევ არავერი, სულ არავერი

ვერ გეტყვი, რას გვეჩიან ფილას დიდმოზღვენი, მაგრამ როგორც თეირა-ნიში მყოფმა ჩვენმა კოლეგამ ვლადიმერ ნიკოლაიშვილმა გეაცნობა, ემზარი ამჯერადც მსაჯებმა დაჩაგრესო. იმ საბედისწერო შეხვედრის ზოგადი სურათი ასეთი ყოფილა — თავდაპირველად ბედინიშვილი ავებდა 0:2-ს, მეუე ვათანაბრა, ამას კიდევ ერთი ილეთი მიაყოლა, რომელიც მსაჯებს ერთეულიანად შეუფასებიათ, არადა, აშკარად ორქულიანი ყოფილა. ეს ანგარიში — 3:2 ემზარს ხელს კი აძლევდა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ახლა კანადელმა ვათანაბრა, დამატებით დროის პირველსავე წუთზე კი კიდევ ერთი ქუ-და იდო და ორთაბრძოლაც მისი გამარჯვებით დასრულდა. ჩვენებს შედეგი გაუპროტესტებიათ, მაგრამ როდის იყო, ჩვენს პროტესტს ვინმე აინუნში ავებდა — არბიტრებს ჩვენი მწვრთნელების მოთხოვნის მიუხედავად ვიდოფირზე კადრების შენელებაც კი არ უსურვებიათ, ისე გამოუტანეს ემზარს მარცხის განაჩენი. საბოლოოდ ბედინიშვილი მეხუთე ადგილზე გავიდა, რაც ჩვენებრთა შორის საუკეთესო შედეგია. მის გარდა ათეულში მოხვდნენ ელდარ კურტანიძე (97 კგ; VI ადგილი) და მხიმეწროსანი ალექსანდრე მოლბაძე (IX ადგილი).

მოკლედ, ჭიდაობის ქართველ ქომაგებს ჭმუნვის დრო გვიდგას — ბერძნულ-რომაულშიც და თავისუფალშიც მსოფლიოს უპირველეს შეჯიბრებებზე კახის განვიცადეთ — ოქრო-ვერცხლს ვინლა ჩივის, ერთ ბრინჯაოსაც კი ვერ ველირეთ. ჩვენი გაჭირვება გაჭირვებად, მაგრამ ცოტა გასარბელებზე ვეთვით. 58-ის ფინალში ირანელი სინარული მეცხრე ცაზე ააფრინა ალირეზა დაბირმა გივი სისაურის მომეგებ თურქ პარუნ ლოვანთან

ირაკლი თაბაკაძე



შუმის მონცას დიდი იმედი აქვს

საზე ჩატარდება (წინა 48 წლის განმავლობაში იტალიის დიდი პრიზი მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს ჩატარდა „იმოლას“ ავტოდრომზე). ტრასა 1922 წელს 100 დღის განმავლობაში აშენდა და ჩემპიონატში უსწრაფესი გახლავთ. მისი გრძელი, სწორი მონაკვეთები უმაღლესი სისწრაფის განვითარების საშუალებას იძლევა და ამიტომაც სწორედ აქ არის ნაჩვენები გამარჯვებულის ყველაზე მაღალი საშუალო სიჩქარე 242,62 კმ/სთ — პიტერ გეტინი BRM, 1971 წელი. ამავე რობლაში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. ფინიშზე პირველი ზუთი პილოტი 0,61 წამში ჩატვია.

წრის რეკორდი კი დემონ პილის ექვთენის 249,895 კმ-სთ (1993 წ).

ტრასა მეტად მოძიოზი გახლავთ ძრავებისა და მუხრუჭებისადმი და საწვავის მარაგსაც გაფრთხილება უნდა. ამიტომ რობლაში უპირატესობა მძლავრი ძრავების („მერსედესი“, „ფერარი“, „მეკაპრონი“) მხარეს უნდა იყოს.

„ბელვის დიდ პრიზზე“ დასანანი მარცხის შემდეგ ეს რობლა „ფერარისთვის“ მე-600 გახლდათ) მიხაელ შუმახერი შეეცდება თავის სასარგებლოდ შემობარუნოს სიტუაცია ჩემპიონატში, თუმცა ჰაიკინენი (რომელიც 110-ე რობლას ატარებს) და კულჰარდი (რომელმაც შარშან იმარჯვა

ფორმულა 1

XIV ეტაპი

იტალიის დიდი პრიზი

13 სექტემბერი, მონცა

ტრასის სიგრძე 5,770 კმ; რბოლის დისტანცია 53 წრე — 305,772 კმ

რბოლის დასაწყისი 16 სთ (თბილისის დრო)

1997 წლის შედეგები:

1. კულჰარდი (მაკლარენი)	1:17.04,609 (238,036)
2. ალუზი (ბენეტონი)	ჩამორჩა 1,937 წმ-ით
3. ფრენცენი (უილიამსი)	
4. ფიხიკელა (ჯორდანი)	
5. ვილნევი (უილიამსი)	
6. შ. შუმახერი (ფერარი)	

პოული: ალუზი (ბენეტონი) 1:22,990 (250,295 კმ-სთ)
საუკეთესო წრე: ჰაიკინენი (მაკლარენი) — 49 წრე 1:24,808 (244,939 კმ-სთ)

წინა წლების გამარჯვებულები:

1996 შ. შუმახერი (ფერარი)	1995 პერბერტი (ბენეტონი)
1994 პილი (უილიამსი)	1993 პილი (უილიამსი)
1992 სენა (მაკლარენი)	

იტალიის

პირველი დივიზიონი

VIII ტური

ტრანსპირი 2:3 ჰადირფილი

0:1 სტიუარტი (21), 0:2 ალისონი (45), 1:2 პარკინსონი (66), 1:3 ალისონი (69), 2:3 კუმბანი (70)

ტექნიკური შედეგები

58 კგ: 1. ალირეზა დაბირი (ირანი); 2. პარუნ დოვანი (თურქეთი); 3. გიგი სისაური (კანადა)

69 კგ: 1. არაიკ გვეორქიანი (სომხეთი); 2. ზაზა ზოზოროვი (უკრაინა); 3. ლინკოლნ მაკირლაგი (აშშ)

85 კგ: 1. ალირეზა ჰეიდარი (ირანი); 2. მოგამედ აბრასიოვი (მაკედონია); 3. ალექსანდრ რომერი (კუბა)

130 კგ: 1. ალექსის როდრიგესი (კუბა); 2. რასულ ხადემი (ირანი); 3. ანდრეი შუმილინი (რუსეთი)

მე თქვენ გასიაგოვნებთ!

მე-6 ეტაპი. მურსიდან ხორეტ ლეკატიმდე. 201.5 კილომეტრი

მეექვსე ეტაპზე ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რასაც ესპანელი თითქმის სამი წელი ელოდნენ. ზღვიზელ სამ უკანასკნელ „ეუკლტაზე“ მასპინძელ მრბოლს ლიდერობა ვერაფრით მოეპოვებინა და ამას ადელოზობრივი ვულშემტკიცებები მეტად მტკივნეულად განიცდიდნენ.

ცდელი რობლა გველის, სადაც არც ისე ძლიერი ვარ“ — განაცხადა გამარჯვებულმა ხიმენესმა.

1. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) 5 სთ 17 წთ 57 წმ; 2. რობერტო ერასი (ესპანეთი) +27; 3. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი) +47.

ერთეული ქომაგების გულეებისა და სანუკარი ეტაპის მოგება ხოსე მარია ხიმენესმა შეძლო. მან მშვენიერად წარმართა მთელი რობლა და აბრაჰამ ოლანოს შემდეგ პირველი ესპანელი შეიქნა, ვინც მომდევენო ეტაპზე ვეთიუელ მისურში გამოწყობილი იასარეზებს. თავად ოლანო, რომელსაც ლიდერობის პატივი ბოლოს 1995 წელს რებია, ფინიშის ზახთან მეექვსე მივიდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რამდენიმე ძლიერი სპორტსმენისთვის გადაეყვრო და საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილისთვის გამოეყრა ხელი.

საერთო ჩათვლა:

1. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) 28 სთ 24 წთ 34 წმ; 28 რბერტო ერასი (ესპანეთი) +31; 3. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი) +36; 4. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) +58; 5. დარიო ფრიგო (იტალია) +59.

პირველ ადგილზე კი, როგორც აღვინშეთ, ამ ეტაპის ტრიუმფატორი, „ბენესტოს“ წამყვანი მრბოლი ხიმენესი დაქვიდრა. მან უახლოეს მდევარს, „კელმეს“ წვერ თანამემამულე რობერტო ერასს მთელი 27 წამით აჯობა, ხოლო წლევეანდელ „ეუკლტაზე“ მეტად კარგ ფორმაში მყოფ ფრანგ ლორან ფალაბერს სულაც 47 წამი მოუგო.



ხოსე მარია ხიმენესი

ეტაპის დაწყებამდე მთელი ფურადლება მანამდე დაწინაურებულ იტალიელი ფაბრიციო გვიდისკენ იყო მიმართული. მანაც კარგი სტარტი აიღო და რამდენიმე საუკლედო სპრინტის მოგებით ცხრა საექტივო წამიც შეიმატა, მაგრამ ვერაგობით ცნობილ დე კატის აღმართს ვერაფერი მოუხერხა და ისე გაითანგა, რომ საბოლოოდ მასსა და პირველ ადგილზე გასულ ხიმენესს შორის სხვაობამ 3,20 წუთი შეადგინა.

მე-7 ეტაპი. ალიკანტედან ვალენსიამდე. 185 კილომეტრი

ამ ეტაპზე გაიმარჯვა „ტელეკომის“ იტალიელმა ვოვანი ლომბარდომ შედეგით 4 სთ 03 წთ 49 წმ.

ბასა არჯემანნიძე

„მსურდა, ყველასთვის მეჩვენებინა, რომ ველორბოლის ესპანური სკოლა არაკიუსზე ნაკლები არ არის თანამემამულეთა დიდი ხნის ოცნება კი ავასრულე, მაგრამ ამით არ დავკმაყოფილდები და ევეცდები, მათ სიამოვნების წუთები რაც შეიძლება დიდი ხნის მანძილზე გაეუხანგრძლივო. ამისთვის მომდევენო ეტაპის მოგებაცაა საჭირო, რადგან კერას სიჩაუქეში გამოსა-

სარბიელი

სპორტული ვაჭეთი

გამოღის: სამშხაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევეს და შაბათს

მთავარი რედაქტორი: ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი: გიორგი ოქრომაძე

რედაქტორი: მანუკა მიზრიანი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ილია ბაბუნაშვილი

ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვასტან ბზნიპაძე

ტექნიკური რედაქტორი: გურამ ხელაშვილი

კალათბურთის განყოფილების გამგე: ავთანდილ გურასაშვილი

ინფორმაციის განყოფილების გამგე: სოსო კორტოპიშვილი

ფეხბურთის რედაქცია: ქართული ფეხბურთის განყოფილება: კონსტანტინე გოგოშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თითაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიან სანიკიძე

ფეხბურთის განყოფილება: ლამა ვოლუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

კალათბურთის განყოფილება: ვით ანვლუდანი, გიორგი ბიკაშვილი

ინფორმაციის განყოფილება: ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე

კორესპონდენტი ქუთაისში: იუსა კაციაძე

ფოტორეპორტორები: გურამ დოლიჯვაშვილი, ბადრი კთილაძე

სტილისტები: მათა აზვანიძე, ნათელა გიორგობანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე ველუტაშვილი, ნინო დევიძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ზატაშვილი

გამომშვები: ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აღ. ყახბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29